



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 16 თებერვალი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: „ევროპის ფონდი“-ს ოფისი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
5. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
6. ვლადიმერ ბოჟაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
7. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

## განსახილველი საკითხები:

- ყოველწლიური საერთო კრება, დღის წესრიგის შემუშავება
- შეხვედრა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან
- ახალი წევრის მიღება
- და სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხები.

საკოორდინაციო საბჭომ განსაზღვრა ყოველწლიური საერთო კრების ჩატარების თარიღი და ადგილმდებარეობა. 2018 წლის 6 მარტს, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ გაიმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რიგით მე-9 საერთო კრება. საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს საერთო კრების დღის წესრიგი. ყოველწლიურ შეხვედრაზე შეფასებული იქნება პლატფორმის გასული წლის საქმიანობა და საუბარი იქნება სამომავლო გამოწვევებზე. ყოველწლიურ საერთო კრებაზე არჩეული უნდა იყოს ახალი თავმჯდომარე, ასევე მოხდება წესდებაში შეტანილი ცვლილებების კენჭისყრა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებს თხოვნით მიმართა, რომ საერთო კრებამდე ყველა სამუშაო ჯგუფმა ჩაატაროს ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილავენ და დაასახელებენ ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატებს.

საბჭოს წევრებმა ისაუბრეს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ თამარ ხულორდავასთან შეხვედრის საკითხზე. ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, ისაუბრა იმ უმნიშვნელოვანეს მიღწევაზე, რომელიც შეეხება ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში იმ ჩანაწერის ამოქმედებას, რომელშიც საუბარია იმ უკუკავშირზე, რომელიც უკავშირდება პლატფორმის წევრების მიერ გაგზავნილი შენიშვნების/მოსაზრებების გაზიარების საკითხს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით „კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი იქნება უკუკავშირის უზრუნველყოფა კომიტეტის მიერ, კერძოდ კი აპარატმა ეროვნულ პლატფორმას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნებიდან რომლები აისახა/არ აისახა კანონპროექტში“<sup>1</sup>.

დამსწრეებმა ასევე განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციის კავშირი-ასოციაცია „აგორა“-ს სააპლიკაციო ფორმა. საკოორდინაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობით ორგანიზაცია მიღებულ იქნა ეროვნული პლატფორმის წევრად.

---

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2017-2020

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი : ქეთევან ჭურაბე.